

კლიმატის ცვლილების გავლენა შავი ზღვის ბიომრავალფეროვნებაზე

გიორგი ხომასურიძე

ელ.ფოსტა: khomagio@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის პრ. 3, თსუ II კორპუსი, 0128, თბილისი, საქართველო

შავი ზღვის ბიომრავალფეროვნება მეტად მგრძობიარეა კლიმატის ცვლილების, უმთავრესად კი ზღვის ტემპერატურის ცვლილების მიმართ. დადგენილია შავი ზღვის ტემპერატურის ცვლილების გავლენა მის ბიომრავალფეროვნებაზე. ბოლო ათწლეულებში აღინიშნა შავი ზღვის წყლის ტემპერატურისა და ეგზოტიკური სახეობების შემოსვლის მატება. შავ ზღვაში ბევრი ეგზოტიკური სახეობა შემოდის ბალასტური წყლებით, გემების მიმოსვლის საშუალებით. შავი ზღვის მცირე სახეობათა მრავალფეროვნება, თუმცა ფართო საარსებო პირობები ხელსაყრელ პირობებს ქმნის ახლადშემოსული ეგზოტიკური სახეობებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ დაარღვიონ ეკოსისტემების სტაბილურობა, ფუნქციონირება და საფრთხე შეუქმნან ადგილობრივ სახეობებს. მათი განსახლების პროცესი დაჩქარებულია კლიმატის ცვლილებების შედეგად. ისეთი სახეობების შემოსვლა როგორებიცაა: *Lagocephalus spadiceus*, *Lithognathus mormyrus*, *Serranus hepatus*, *Callinectes sapidus* - ადასტურებს იმას, რომ შავ ზღვაში ნამდვილად შემოსულია თერმოფილური სახეობები, რაც შავი ზღვის დათბობისა და მედიტერანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- [1] A. McLachlan, A.C. Brown (2006). The ecology of sandy shores. 2nd. Edition. Academic Press: Amsterdam, The Netherlands. 373 pp.
- [2] A. Zenetos, V. Todorova, B. Alexandrov (2002). Marine biodiversity changes in the Mediterranean and Black Sea regions.
- [3] B. Alexandrov, A. Boltachev, T. Kharchenko et al. (2007). Trends of aquatic alien species invasions in Ukraine.
- [4] C. M. Philippart (Ed.), (2007). Impacts of climate change on the European marine and coastal environment: ecosystems approach. ESF Marine Board Position Paper. European Science Foundation, Marine Board: Strasbourg, France. 82 pp.
- [5] C. Turan, D. Erguden, M. Gurlek (2016). Climate Change and Biodiversity Effects in Turkish Seas.
- [6] G. Beaugrand, K. M. Brander, J. A. Lindley et al. (2003). Plankton effect on cod recruitment in the North Sea. *Nature*, London. 426 (6967): 661-664.
- [7] J. E. Vermaat et al. (Ed.), (2005). Managing European coasts: past, present and future. pp. 199-226.
- [8] J. Geerlings et al. (2009) Black Sea, Local environment.
- [9] M. Kedra, W. Walkusz (2006). Global warming-driven biodiversity change: pelagic versus benthic domain, *MarBEF Newsletter* 5: 23-24.
- [10] M. Skolka, C. Preda (2010). Alien invasive species at the Romanian Black Sea coast – present and perspectives.
- [11] T. Lieven et al. (2009). Effects of global climate change on European marine biodiversity.
- [12] Y. Tokarev, G. Shulman (2009). Biodiversity in the Black Sea: effects of climate and anthropogenic factors.